

ქეთევან ევაძე • ილია ჭავჭავაძის სახე-ხატის ფორმირება ქართველი სოციალ-დემოკრატების გამოცემაში „კვალი“ •

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის სახე-ხატის ფორმირების შესწავლას ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამოცემაში „კვალი“ 1893-1904 წლებში (გაზეთი სოციალ-დემოკრატებთან ასოცირდებოდა 1894 წლიდან). კვლევამ აჩვენა, რომ სოციალ-დემოკრატებთან იდეოლოგიური დაპირისპირების კვალდაკვალ ილიას იერსახე მკვეთრად შეიცვალა დროთა განმავლობაში. 1893-1897 წლებში, ილია წარსულის სიმბოლოდ წარმოისახა, რომელმაც საკუთარი შემოქმედებითი ენერჯია უკვე ამოწურა და აწმყო დროში ეჭვქვეშ დადგა მისი, როგორც ერის მეთაურის სტატუსი. თუმცა, 1899 წლიდან გაზეთის სამსჯელო ენა მეტად კრიტიკული გახდა, დუალისტური ხატი გამთლიანდა და ილიას ჩამოშორდა ის მახასიათებლები, რომელიც მას ერის მეთაურად აქცევდა არა მხოლოდ აწმყოში, არამედ წარსულ დროშიც.

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, სოციალ-დემოკრატია, გაზეთი „კვალი“

შესავალი

ილია ჭავჭავაძე ქართულ დომინანტურ დისკურსში უპირობო ეროვნული გმირია. მისი სახელი დაკავშირებულია ეროვნული იდენტობის მსაზღვრელ ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა ქართველი ერის შექმნა და ეროვნული პროგრამის დაცვა რუსეთის იმპერიის წნეხის ქვეშ. ეს სახე-ხატი, 1930-იანი წლებში, საბჭოთა ეროვნული

• კულტურის კვლევების დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

• სტატია დაიწერა კვლევითი პროექტის „ილია ჭავჭავაძე უპირობო გმირი იდენტობის წინააღმდეგობრივ დისკურსებში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (FR-24 -10670).

პოლიტიკის ფარგლებში კანონიზდა.¹ 1987 წელს წმინდანად შერაცხვის შემდეგ კი, ამ ისტორიულმა ფიგურამ ეროვნული გმირების პანთეონში გამორჩეული ადგილი დაიკავა.²

ილია ჭავჭავაძე „თერგდალეულთა“ ან სხვა სინონიმით „სამოციანელთა“ თაობას ეკუთვნოდა. ეს ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა თერგს მიღმა - რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში განათლებამიღებულმა ახალგაზრდებმა დააფუძნეს, რომელთაც არ ჰქონიათ ერთიანი წერილობითი პროგრამა თუ წესდება. ისინი იდეურ ერთობას შეადგენდნენ და მიზნად ისახავდნენ ეროვნული ერთიანობის მიღწევას ფრაგმენტირებულ სოციალურ ჯგუფებს შორის (ჯანელიძე, 2009: 38). მათ საზოგადოების წინაშე წამოჭრეს ისეთი საკითხები, როგორც იყო - ქართული ენისა და კულტურის დაცვა, ბატონყმობის გაუქმება, მესაკუთრეთა ფენის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მწარმოებელ-გამსაღებელთა ამხანაგობების დაფუძნება და სხვა.³ ამ იდეების წამოჭრით, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული ცნობიერების შექმნაში.

ილია ჭავჭავაძე მთავარი თერგდალეული იყო. რონალდ სუნი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ პატრიოტული მისწრაფებებისა და საზოგადო საქმიანობის გამო, იგი ყველაზე გავლენიან ეროვნულ ლიდერად ითვლებოდა მე-19 საუკუნის საქართველოში. ილია სიცოცხლეშივე სარგებლობდა საზოგადო სიყვარულითა და პატივისცემით, თუმცა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფში, მის

¹ Chkhaidze, I., and K. Kakitelashvili. “A National Figure as a Memory Site: Reinterpretations of Ilia Chavchavadze in the 1910s–1940s.” *Caucasus Survey* 9, no. 3 (2021): 220.

² Jones. S. F. *Socialism in Georgian Colors. The European Road to Social Democracy 1883-1917*. Harvard University Press: Cambridge, 2005), 35.

³ ჯანელიძე, ო. *საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია* (უნივერსალი: თბილისი, 2009), 40.

მიმართ, განსხვავებული განწყობები არსებობდა.⁴ თანამედროვეთა მოგონებებიდან ირკვევა, რომ ილია კლასობრივი მტრის სახით მშრომელებში და მარქსისტ ახალგაზრდებში იყო აღქმული. მათი დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების გარშემო იყო შემოკრებილი.⁵

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში 1890-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. მისი წევრები 1892 წელს ზესტაფონში გამართულ კრებაზე გაერთიანდნენ, საკუთარი თავი კი ორი წლის შემდეგ, მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის - ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გააცნეს საზოგადოებას. ამის შემდგომ მათ „მესამე დასი“ ეწოდათ.⁶ ძველი საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობებისგან გამოსაკვეთად მწერალმა და პუბლიცისტმა გიორგი წერეთელმა ეს ჯგუფი განასხვავა ერთი მხრივ „მეორე დასისგან“, რომელსაც მიაკუთვნა პირველი მემარცხენე ინტელექტუალები საქართველოში - ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვები. ხოლო მეორე მხრივ „პირველი დასისგან“ - რომელსაც წარმოადგენდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამოაზრენი.⁷

სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის პროგრამა ნოე ჟორდანიას მიერ იყო შემუშავებული. ავტორი დაეყრდნო ერთი მხრივ ევროპულ ავტორთა იდეებს, მეორე მხრივ კი, თერგდალეულებს შორის სოციალისტური იდეების გარშემო გაჩაღებულ დებატებს. პროგრამის პირველი ვარიანტი ქართველმა მარქსისტებმა ზედმეტად ერ-

⁴Suny, R. G. *The making of the Georgian Nation (Second edition)* (Indiana University Press: Bloomington and Indianapolis, 1994), 131.

⁵ჯოლოგუა, თ. *ილია ჭავჭავაძე - 180 ამაზი* (არტანუჯი, თბილისი, 2017), 157, 162, 180.

⁶წერეთელი-თუმანიშვილი, ა. სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო (სიტყვა თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ) მესამე დასის პროგრამა. კვალი N22, 1894, 14.

⁷წერეთელი, გიორგი. „კვალის ორი წლის ნაღვაწი.“ კვალი N5, 1895, 8.

ოვნული ფოკუსის გამო დაიწუნეს. მისი ასლი არ შემორჩენილა.⁸ 1893 წელს ჟორდანამ ახალი პროგრამა წარადგინა რომელიც მომდევნო წელს გაზეთ „მომამბეში“ გამოქვეყნდა.⁹ მასში, მოქმედების მთავარ პრინციპად სახელდებოდა ეკონომიკური განვითარება, რასაც ჟორდანი მოქალაქისა და ერის ცხოვრების „დედა-ბოძად“ მიიჩნევდა. კაპიტალიზმი კი იყო ის მთავარი განმსაზღვრელი ძალა, რომელსაც უნდა გამოეწვია საზოგადოების დასებად დაყოფა, კლასთა ბრძოლა, თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბება და ერის ეროვნულ-კლასობრივი იდენტობით შეკავშირება. განვითარების ეს მოდელი აღიქმებოდა როგორც პროგრესული, ეროვნული და „ევროპიული“ ერთდროულად.¹⁰

ნოე ჟორდანისა და ილია ჭავჭავაძის ხედვა ერისა და ეროვნული პროგრამის შესახებ, სრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მიუხედავად ხანმოკლე თანამშრომლობის გამოცდილებისა, მათ საერთო ენის გამონახვა ვერ შეძლეს და ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდნენ.¹¹ იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ ორ ეპოქალურ ინტელექტუალს შორის გავლენა მოახდინა მათი სახე-ხატების ფორმირებაზეც.

გაზეთი „კვალი“ კოლექტიური მეხსიერების შექმნის ცენტრალურ წყაროს წარმოადგენდა ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის, როგორც გავლენიანი ეროვნული ლიდერის სახე-ხატის ფორმირება სოციალ-დემოკრატთა წარმოსახვაში, სწორედ ამ გამოცემის ფურცლებზე ხდებოდა. ამ ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია გაზეთი მისი გამოცემის პერიოდში - 1893-1904 წლებში. შეირჩა ის პუბლიკაციები, სადაც ილია დისკუსიის მთავარ საგანს წარმოადგენდა. კვლევამ აჩვენა, რომ გაზეთი

⁸გურული, ვ. *ნოე ჟორდანი: პოლიტიკური პორტრეტი : 1869-1953* (ინტელექტი: თბილისი, 1999), 17, 20.

⁹Jones, *Socialism in Georgian Colors*, 58.

¹⁰გურული, *ნოე ჟორდანი*, 19-20.

¹¹იქვე, 13-14.

„კვალი“ არაერთხელ შეეხო თერგდალეულთა თაობას, კონკრეტულად მათ მეთაურს ილია ჭავჭავაძეს და ბექდურ ორგანოს - „ივერიას“. გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების შინაარსი, ავტორთა მოტივი და მესიჯები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჩამოეშორებინათ ერის მეთაურის სტატუსი ილიასთვის და გაეხსნათ სივრცე საზოგადოებასთან ამ ფიგურაზე ლაპარაკისთვის. ამისათვის, მათ პუბლიკაციებში ეჭვქვეშ იყო დაყენებული ილიას ყველა ის მახასიათებელი, რაც მის ავტორიტეტს ქმნიდა. სოციალ-დემოკრატების მოტივი განპირობებული იყო იმით, რომ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში შესვლის შემდეგ მათ უნდა დაეთრგუნათ ილიას ავტორიტეტი და კოლექტიურ წარმოდგენებზე გავლენის მოხდენის უნარი. ამ გზით მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ გაემარჯვათ იდეოლოგიურ ბრძოლაში და საკუთარი ეროვნული პროგრამა პრაქტიკაში გაეტარებინათ.

კონტექსტი: სოციალ დემოკრატების პოლემიკა ილიასთან

„მესამე დასი“ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენისთანავე დაუპირისპირდა ძველი ეროვნული ლიდერების შეხედულებებს. მათ შორის იყო ილია ჭავჭავაძეც. იგი არ იზიარებდა ნოე ჟორდანიას პროგრამას და საერთო საკუთრების, კლასთა ბრძოლისა და რევოლუციების წინააღმდეგი იყო.¹² სერგო რატიანი აჩვენებს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება სოციალიზმის როგორც „რადიკალური, ისე ზომიერი ფრთის მთავარი ნაკლოვანებების მიმართ“ ილიას სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის საქართველოში გამოჩენამდე გაცილებით ადრე ჩამოუყალიბდა, რამდენადაც, მას უტოპიურად ეჩვენებოდა ყველა დაპირება სოციალურად და ეკონომიკურად თანასწორი და კოლექტიურ ინტერესებზე დაფუძნებული

¹²Jones, Socialism in Georgian Colors, 37.

საზოგადოების შესახებ.¹³ აღსანიშნავია ისიც, რომ ილია თავდაპირველად, ერიდებოდა სოციალ-დემოკრატებთან დაპირისპირებას და ცდილობდა მოლაპარაკებას ეროვნულ საკითხზე. ერთ-ერთ მეთაურ წერილში, რომელიც 1895 წელს დაიბეჭდა, აღნიშნული იყო: „*დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთს პარტიას ერთის აზრით გამსჭვალულსა*“.¹⁴ წერილიდანაც ჩანდა, რომ ილია უარყოფდა საზოგადოების დაყოფას დასებად. მის დასკვნებზე გავლენა უნდა მოეხდინა ქართველი სოციალ-დემოკრატის განსხვავებულ ბუნებას. საქართველოში ეს მიმდინარეობა ვარშავაში სასწავლებლად წასულმა ინტელიექტუალებმა შემოიტანეს, რის გამოც იგი არ ჰგავდა რუსულ რევოლუციურ მოძრაობებს.¹⁵ სწორედ ევროპა იყო ის სივრცე, სადაც მარქსიზმის ანტინაციონალისტური ტენდენციებისა და ინტერნაციონალისტური მიზნების მიუხედავად, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობებში ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმა ჩაისახა.¹⁶ ქართული ჯგუფის წევრების დიდი ნაწილისთვის სამეცნიერო მარქსიზმის აღიარების და რუსეთის იმპერიის პერიფერიაზე დანერგვის მთავარი მოტივი ქართველი ერის განვითარება იყო.¹⁷

მიუხედავად ეროვნული ფოკუსისა, სოციალ-დემოკრატებს ილიას შეხედულებები დასთა ერთიანობის შესახებ ზედაპირულად მიაჩნდათ. ნოე ჟორდანიას ილიას საპასუხოდ წერდა: „*როცა „ივერია“ ამბობს, „ჩვენში დასები არ არისო, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება ჯერ ჩვილი, განუვითარებელიაო. ხოლო როცა გვარწმუნებს, რომ ჩვენში დასები არც უნდა იყოსო, ამით მხო-*

¹³ რატიანი, ს. ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: თბილისი, 2022), 310, 312.

¹⁴ „ტფილისი“, ივერია N15, 1895, 1.

¹⁵ რატიანი, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა, 390.

¹⁶ Vogt, S. “Strange Encounters: Social Democracy and Radical Nationalism in Weimar Germany.” *Journal of Contemporary History* 45, no. 2 (2010): 258.

¹⁷ ჟორდანიას, ნ. *მესამე დასი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. 100 წელი საიუბილეო კრებული* (ჩვენი დროშა: პარიზი, 1993), 9.

ლოთ ჩეენი განუვითარებლობა პრინციპით აყავს და აკანონებს, ჩვენ ვერ განვითარდებითო.¹⁸ ჟორდანიამ ასევე წარმოადგინა საკუთარი ხედვა ილიას შეფასებებთან დაკავშირებით: „ივერიას“ იმიტომ მოსვლია ეს შეცდომა, რომ სიტყვა საქმეთ მიუღია, „ეროვნული პრინციპი“ ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული ჰგონებია. რასაკვირველია, დაცვა ვინაობის, ენის, პირადობის, თავისუფლების არსებითი თვისებაა ეროვნებისა, მხოლოდ საქმე იმაშია, თუ ეს ვის როგორ ესმის“.¹⁹

სოციალ-დემოკრატიებისთვის ილიასთან პოლემიკა სრულიად გამართლებული და მისაღები იყო მათივე იდეოლოგიური პერსპექტივიდან გამომდინარე. ილია თავადაზნაურთა ფენას ეკუთვნოდა და ჟორდანიას შეხედულებით, სწორედ მათ ინტერესებს იცავდა.²⁰ თუმცა, სავარაუდოა, რომ ილია სიფრთხილით უყურებდა ამ პროცესს და მასში სოციალური კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეს ხედავდა. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ მან ჟორდანია გაზეთ „ივერიაში“ თანარედაქტორადაც მიიწვია 1897 წელს. პასუხად უარი მიიღო. როგორც ვახტანგ გურული აღნიშნავს, ამ დროისათვის ჟორდანია სოციალ-დემოკრატიების გამოკვეთილი ლიდერი იყო, რომელიც ემიჯნებოდა ილიას ეროვნულ პროგრამას და მის სოციალიზაციას ითხოვდა.²¹ ჟორდანიას აზრით ეს პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე დროის მოთხოვნებს, რადგან ქართული ენისა და სკოლის აცილებლობაზე საუბარს საქართველოში „არ ქონდა არც პოლიტიკური ხასიათი, არც პროგრამული და საბრძოლველი არსება“.²² იმიტომ, ცვლილებები გარდაუვალად უნდა მომხდარიყო ერის მოდერნიზების პროცესში. ეროვნული პროგრამის ცვლილების წინააღმდეგი არც ილია უნდა ყოფილიყო, თუმ-

¹⁸ ჟორდანია, ნ. გაზ. „ივერია“ და ეროვნება. კვალი N11, 1895, 7.

¹⁹ ჟორდანია, ნ. გაზ. „ივერია“ და ეროვნება. კვალი N12, 1895, 6.

²⁰ ჟორდანია, ნ. გაზ. „ივერია“, კვალი N9, 1900. 137.

²¹ გურული, ნოე ჟორდანია, 14-20.

²² ჟორდანია, ნ. ჩემი წარსული: მოგონებები (სარანგი: თბილისი, 1990), 23.

ცა იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა მის გარდაქმნას მარქსისტულ იდეოლოგიაზე.²³ ილიას მთავარი იდეალი ეროვნული ერთიანობის მიღწევა იყო. საზოგადოების დაყოფა კლასებად ან რომელიმე კლასის გაქრობა, მას ამ პროცესის შემაფერხებელ ფაქტორად ესახებოდა და დაუშვებლად მიაჩნდა.²⁴

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილია აღიარებდა კაპიტალიზმის ტრანსფორმაციულ ძალას, თუმცა, იგი ერის განვითარების აუცილებელ ფაქტორად არ მიაჩნდა. ეს იდეები ნათლად აირეკლა გაზეთ „ივერიის“ ფელეტონმა: „თუ ჩვენ სოციალ-დემოკრატების პროგრამა გავიხადეთ ჩვენის მოქმედების საგნად, მაშინ გულზედ ხელ დაკრეფილნი უნდა ვუცადოთ, როდის წაართმევს კაპიტალი ჩვენის ერის ერთ მესამედს მაინც თავის საკუთრებას!“²⁵ წერილში არსებობდა დაშვება, რომ შესაძლოა გამოჩენილიყო სხვა გზა, რომელიც კაპიტალიზმს გაუწევდა კონკურენციას. იქამდე კი ერის გამოფხიზლება და მისი კულტურის განვითარება იყო საჭირო. ილია და მისი თანამოაზრეები ეკონომიკურ საკითხში უპირატესობას სოფლის მეურნეობის განვითარებას ანიჭებდნენ და შესაბამისად, ბატონყმობის გაუქმების შედეგად გაკოტრებული თავადაზნაურებისა და გარდამავალი ვალდებულების მქონე გლეხების დახმარებას მიიჩნევდნენ, რომელთაც მამულების გამოსყიდვა და მიწის დამუშავება შეეძლოთ.²⁶

ილიას შეხედულები ნოე ჟორდანიასთვის „ფეოდალურ-სოფლური მიმართულება,“ „ძველი დროის დაბრუნება,“ „ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება“ და „მთელი ერის გადაშენება“ იყო. მისი ხედვით, ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთი გზა ეკონომი-

²³ გურული, ნოე ჟორდანია, 16, 20.

²⁴ შველიძე, დ. *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ნაკვეთი 1. ფედერალისტები* (არსი: თბილისი, 1993), 17-19.

²⁵ ლალი. „ფელეტონი - ჟურნალი კვალი ისევ თავის მიმართულების კვლევა მიებაშია.“ *ივერია N19*, 1895, 2-3.

²⁶ ლალი. „მეთაური წერილი - 16 თებერვალი, ტფილისი.“ *ივერია N34*, 1895, 3.

კურ საკითხზე გადიოდა და პირდაპირ უკავშირდებოდა კაპიტალიზმის, წარმოების ძალების, ქალაქებისა და მუშათა კლასის განვითარებას.²⁷ ამ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში ნათლად ჩანდა, რომ ილიას და „მესამე დასის“ მეთაურს ქართველი ერისა და მისი განვითარების შესახებ საკუთარი ხედვა ჰქონდა და ორივე მათგანი ევროპის გამოცდილებას იშველიებდა არგუმენტად. მათ პოლემიკას პუბლიცისტი შალვა ამირეჯიბი მეტაფორულად „ორი ევროპის“ ბრძოლას ადარებდა და აღნიშნავდა, რომ ასეთი იდეოლოგიური „შეხვედრანი იშვიათია და მხოლოდ ეპოხათა საზღვარზედ ჩნდებიან“ [...] ილია კი, სწორედ ახალ ევროპულ იდეასთან ბრძოლაში დამარცხდა, „ეს იყო მარქსიზმი, რომელიც ისევე ჩქარა მოყვა ლიბერალიზმს, როგორც მერცხალს სხვა დიდი და მტაცებელი ფრინველი.“²⁸

ილია ჭავჭავაძის სახე-ხატი გაზეთ „კვალში“

გაზეთმა „კვალმა“ ფუნქციონირება 1893 წლიდან დაიწყო. ოფიციალურად, მის რედაქტორად ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი ითვლებოდა, თუმცა გაზეთის საქმიანობას მისი მეუღლე - გიორგი წერეთელი უძღვებოდა. თერგდალეულთა თაობიდან გამოყოფის შემდეგ, გიორგი წერეთელმა მარქსიზმის იდეები გაიზიარა. გაზეთ „კვალის“ დაფუძნების შემდეგ სიმპათია სოციალ დემოკრატებს გამოუცხადა და საკუთარი საგამომცემლო ორგანოც ამ მოძრაობის წევრებს დაუთმო პუბლიკაციებისთვის.²⁹

გაზეთ „კვალში“ ილიას კრიტიკა გიორგი წერეთელმა დაიწყო პუბლიკაციით: „მოგზაურობა კახეთში თავ. ი. ჭავჭავაძისა“.³⁰ წერეთელმა ილია იმ თავადაზნაურთა გვერდით მოიხსენია, რომელთაც არ ადარდებდათ გლეხთა გასაჭირი და ექვევქვემ დააყენა ილიას შე-

²⁷ ჟორდანია, ნ. „ადგილობრივი პრესის წარსულ წელს.“ *კვალი* N3, 1899, 33-36.

²⁸ ხოფერია, ნ. „ევროპული და აზიური ორიენტაციის შესახებ საქართველოში.“ *კრებულში ევროპა თუ აზია* (ლიტერატურის მატრიანე: თბილისი, 1997): 13.

²⁹ რატიანი, ილია *ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანისა პოლემიკა*, 9.

³⁰ წერეთელი, გ. *მოგზაურობა კახეთში თავ. ი. ჭავჭავაძისა*, კვალი N26, 1893.

სახებ გავრცელებულ აღქმას, რომლის მიხედვითაც, ის „საქართველოს საუკეთესო მამულიშვილი“, „ერის იმედი და სიქადული“ იყო.³¹ იგივე რიტორიკა მან „მაზაკვალის“ ფსევდონიმით, მომდევნო წელსაც განაგრძო. ილია ჭავჭავაძის ახალი ნაშრომის „უცნაური ამბავის“ გარჩევისას წერეთელმა აღნიშნა, რომ ილია ვეღარ გრძნობდა ერის თანამედროვე მდგომარეობას, რითაც აიხსნებოდა მისი შემოქმედების შეუსაბამობა რეალობასთან. ამას გარდა, მას წარსულის პოეტად განიხილავდა, რომლის შემოქმედებით ენერგიას უმაღლესი წერტილისთვის უკვე მიეღწია და დაღმასვლას განიცდიდა. წერეთელი თავის მოსაზრებას მეტად პესიმისტური მოსაზრებით აჯამებდა: „თუ ოდესმე სჭერია მას ხელში საქართველოს ერის მაჯა [...] ვეჭობ, ხელიდან გავარდნია და ვეღარც უპოვია იგი..“³² ამ პუბლიკაციების შემდგომ გაზეთში კრიტიკულმა წერილებმა იმატა. 1894 წლიდან სოციალ-დემოკრატები უკვე ორგანიზებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ და ძველი თაობის ეროვნულ ლიდერებთან, რომელთა უმრავლესობას თავადაზნაურები შეადგენდნენ, ბრძოლას მათი იდეოლოგიის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1894 წელს დაიბეჭდა ფილოლოგიისა და პუბლიცისტის სილოვან ხუნდაძის წერილები, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მისი შინაარსობრივი და სტილისტური მხარეები. ხუნდაძის ტექსტებშიც ნათლად ჩანდა, რომ იგი ილიას ავტორიტეტს ებრძოდა.³³ ამ ავტორმა საკუთარი თავი განასხვავა იმ კრიტიკოსებისგან, რომლებიც შერჩევითი მიდგომით ხელმძღვანელობდნენ და ერიდებოდნენ სახელმოხვეჭილი ავტორების კრიტიკას. საკუთარი გამბედაობის დასადასტურებლად მან ილიას „დიმიტრი თავდადებული“ გაარჩია და აღნიშნა „*ბევრი ნიჭიერი თხზუ-*

³¹ ნადიკვარელი, წერილი კახეთიდან, ივერია N219, 1893: 14-16.

³² მაზაკვალი. ბიბლიოგრაფიული გარჩევა: „მოსე მწერალი“ ე. ნინოშვილისა, „უცნაური ამბავი“ ილ. ჭავჭავაძისა, „ჩვენი შინაური ამბები“ ნ. ნიკოლაძისა. კვალი N6, 1894: 9.

³³ სილოვან. „თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსები (ტომი I, 1892 წ.) 1858“).“ კვალი N29, 1894: 11.

ლება მიუწოდებია მას [ილიას] ქართველ საზოგადოებისათვის“; თუმცა, ეს არ იყო საკმარისი საბაზი იმისათვის, რომ „ამ მწერლის კალმის ყოველივე ნაწარმოები უნაკლულოდ და უძვირფასეს განდამთ“ ჩათვლილიყო.³⁴ ავტორის ხედვით, ილიას მთავარი შეცდომა მტერს ადვილად დანებებული მეფის იდეალად დაყენება იყო, რადგან ასეთი პერსონაჟი საზოგადოების გამოფხიზლებას ხელს ვერ შეუწყობდა.³⁵

მომდევნო კრიტიკული წერილი ჟურნალისტმა პეტრე გელეიშვილმა გამოაქვეყნა ფსევდონიმით „პეტრე პავლეს ძე“. იგი გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის გაჩაღებულ კამათს თავადაზნაურთა ბანკის მოწყობის საკითხზე. გელეიშვილი დაუპირისპირდა ილიას შესახებ გაზეთ „ივერიაში“ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც იგი სიმართლისთვის მეზრძოლ, გაბედულ და სიტყვის ერთგულ კაცად იყო წარმოჩენილი.³⁶ ამ ინტერპრეტაციებს „გუნდრუკის კმევა“ და „იაფფასიანი ვაჭრული რეკლამა“ უწოდა და მათ გასაქარწყლებლად აღნიშნა: „წავიდა ის დრო, როცა ქვეყანა მუხლებს იყრიდა ავტორიტეტების წინაშე და მათი სიტყვა ყოველ კრიტიკაზე მაღლა მიაჩნდა. წავიდა ის დრო, როდესაც ვინც ჯოხის აღებას მოასწრებდა, „კაპრალიც“ ის იყო“.³⁷ ამავე ავტორმა „ყარიბის“ ფსევდონიმით განაგრძო წერა. ახალ წერილში, მან სოციალ-დემოკრატების შესახებ იმსჯელა და ეს მოძრაობა ერთადერთ სწორ ალტერნატივად განიხილა ერის მომავლისთვის.³⁸ ეს იყო პირველი პუბლიკაცია გაზეთ „კვალში“, რომელშიც ავტორი საკუთარ ჯგუფურ კუთვნილებას ღიად აჩვენებდა და სწო-

³⁴სილოვან. „მეფე დიმიტრი თავდადებული“ თავ. ილ. ჭავჭავაძის პოემა მკითხველის შენიშვნები,“ კვალი N18, 1894:7.

³⁵ იქვე, 8.

³⁶ ილ. პონტელი. ფელეტონი - „ვისი ბრალია.“ ივერია N105,1894:2.

³⁷ პავლიძე, პ. „ვისი ბრალია“-ს ავტორს“) მკითხველის შთაბეჭდილება,“ კვალი N23, 1894:4.

³⁸ყარიბი,„ივერია „მომამე“ და მესამე დასი. II (ცოტა რამ „მომამის“ კრიტიკოსს, ბ. ნალს).“ კვალი N48, 1894: 3-4.

რედ ამ იდენტობის მარკერით უპირისპირდებოდა ილიას. იგი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ ჯგუფს ახასიათებდა, როგორც სიმართლისთვის მეზრძოლს, ხოლო ილიას ზევსის მითიურ ფიგურას ადარებდა და მიაწერდა ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მონური მორჩილების პატივისცემა და განსხვავებული აზრის დევნა. ეს შეპირისპირება ნათლად გამოიხატებოდა შემდეგ ციტატაში: *„ვინც თავის უქვეშევრდომელს გრძნობას ასე ფეხთქვეშ არ გაუშლის მამა ზევს და იმისაგან ლოცვა-კურთხევას არ მიიღებს, იმას განა ნება აქვს საზოგადო მოღვაწეობაზე იფიქროს? [...] დიდი უნამუსობაა მუქთა-ხორების რჩენა საზოგადოების ოფლის მონაგართ, როცა იმავე საზოგადოებას მიმშლით ფერდი-ფერდს მიკვრია. აი, ასეთი. სიტყვებით მიმართა ახალმა დასმა თვითონ ზევსს და ღირსეული სასჯელიც მიიღო.“³⁹ ამასთანავე გელიეშვილი ჭავჭავაძეს ხედვის სივიწროვს უწუნებდა და აღნიშნავდა რომ ძველი ინტელექტუალები ვერ ამჩნევდნენ ცვლილებებს ქვეყანაში, რადგან ისინი „დიად ბანკებისა და სხვა საზოგადო დაწესებულების ჩრდილ-ქვეშ მხარ თეძოზე“ იყვნენ წამოწოლილნი და არხეინად შეექცეოდნენ „საზოგადო ხაჭაპურს“.⁴⁰*

1895 წელს წერილების სერია პუბლიცისტმა სილიბისტრო ჯიბლაძემ გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ადრესატი გაზეთი „ივერია“ იყო, ეს გამოცემა სოციალ-დემოკრატებისთვის ილიას ფიგურასთან პერსონიფიცირდებოდა, ამიტომ შეიძლება გადაჭირთ ითქვას, რომ კრიტიკის მთავარი ობიექტი სწორედ ილია იყო. წინა ავტორის მსგავსად, ჯიბლაძეც შედარების მეთოდს მიმართავდა და ერთმანეთის პირისპირ აყენებდა - ერთი მხრივ, ილიას და მის თანამოაზრეებს, როგორც „პატრიარქალური“, „ბატონ-ყმობის აღდგენის მოსურნე“, „საზოგადო პროგრესის შემაფერხებელ“ ჯგუფს; მეორე მხრივ კი „ცხოვრების მიმდინარეობასთან ხელ-ხელს გაყრილს“ მესამე დასს. ჯიბლაძის აზრით, ეს იყო „ცხოველ-მყო-

³⁹ ყარიბი. „ივერია „მომბე“ და მესამე დასი. I. გაზეთი კვალი N47, 1894: 3.

⁴⁰ იქვე, 4.

ფელი ძალა“ რომლის მიზანს „ახალი მიმდინარეობის მეცნიერულათ გამოკვლევა“ „დაჩაგრულთა გაცნობიერება და მათი ინტერესებისათვის ბრძოლა“ შეადგენდა.⁴¹

მსგავსად დაახასიათა გაზეთი „ივერია“ და შესაბამისად ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიამაც გაზეთ „კვალში.“ მისი შეფასებით ჭავჭავაძე ერს დროში გაქვავებულ ფენომენად აღიქვამდა და წარსული წყობილების აღდგენას ესწრაფვოდა. ამის დასტურად ავტორს ივერიის წერილი მოჰყავდა, რომელშიც მუშათა კლასის ნაცვლად „შეგნებული ინტელიგენცია“ გამოდიოდა ცვლილებების მთავარ აქტორად; ხოლო მოდერნიზების მთავარი სამიზნე სოფელი იყო და არა ქალაქი.⁴² ჟორდანიას შეხედულებით, ეს იდეები კრიტიკას ვერ უძლებდა და ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა. იგი „ივერიელებს“ უწუნებდა ერის განვითარების ევროპული მოდელიდან დაშორებას და ორაზროვანი სტრატეგიით ხელმძღვანელობას. ჟორდანიას შეფასებით ილიას გაზეთს უნდა გაეკეთებინა არჩევანი - კონსერვატორული ან პროგრესული იდეის სასარგებლოდ.⁴³

1897 წელს ილიამ მკვახედ უპასუხა გაზეთ „კვალის“ პუბლიკაციებს. მისი კრიტიკის ობიექტი გაზეთის დამფუძნებელი გიორგი წერეთელი იყო. ილიას მას მას ქართველთა ერთობის ჩამომლის მცდელობაში ადანაშაულებდა და ანგარებიან, ხარბ და უმეცარ ინტელექტუალად წარმოაჩენდა, რომელიც მოსაზრებების პიროვნული გამორჩენისთვის იცვლიდა და არა საზოგადოებრივი ინტერესებისთვის.⁴⁴ ამ წერილის საპასუხოდ, გაზეთმა „კვალმა“ განაგ-

⁴¹ ჯიბლაძე, ს. „კვალი და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) წერილი პირველი.“ *კვალი* N8, 1895: 13-14; ჯიბლაძე, ს. „კვალი და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) წერილი პირველი.“ *კვალი* N13, 1895: 13; ჯიბლაძე, ს. „კვალი და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) წერილი პირველი.“ *კვალი* N14, 1895:15.

⁴² ლალი. „ტფილისი, 16 თებერვალი.“ *ივერია* N34, 1895: 1.

⁴³ ჟორდანია, ნ., მოამბე, ივერია და ეროვნობა“. *კვალი* N34, 1895: 12.

⁴⁴ მეთაური წერილი „ტფილისი 16 აპრილი“. *ივერია* N72, 1897: 1.

რძო ილიას გაკრიტიკება. გიორგი წერეთელმა დაბეჭდა საპასუხო წერილი „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“, რომელშიც ილიას „ღირსების შეუფერებელი ოინების“ ხმარება დაუწუნა და მიაწერა ისეთი მახასიათებლები, როგორცაა „გაუტანლობა“ და „თავისუფალი აზრის მტრობა“ შემდეგ კი აღნიშნა: „ბ-ნო, ილია ჭავჭავაძე, ვითარცა მეთაურს, არ გეკადრებათ არც ურიგო ლანძღვა-გინება, არც ბეზღობით კუდის გამობმა [...] თქვენი გაამპარტავებული თავმოყვარეობის გამო ყველანი შემოირეკეთ და დარჩით სულ მარტო, იცოდეთ, რომ ქება-დიდების მკმეველნი, რომელნიც დღეს გარს გეხვევიან, ფონს ველარ გაგიყვანებენ“.⁴⁵

ილიას ავტორიტეტის მსხვრევაზე მიმართული მომდევნო წერილი ნოე ჟორდანიას ეკუთვნოდა. 1899 წელს მან დაბეჭდა „ადგილობრივი პრესსა წარსულ წელს“, რომელშიც სხვა პერიოდულ გამოცემებს შორის განიხილა „ივერიის“ პუბლიკაციებიც. ჟორდანიამ კვლავ გაიმეორა ძველი შეხედულება გაზეთის და მისი რედაქციის ანაქრონული ხედვების შესახებ და მიაწერა მათ ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: „უიმედობა, უშინაარსობა და უსისტემობა“, „გაუბედაობა და სიცარიელე“, „აწმყოს წყევლა, ფეოდალური წარსულისათვის გალობა“.⁴⁶ ჟორდანიას აზრით, დილემა რომლის წინაშეც „ივერია“ იდგა დასრულდებოდა მისი „განახლებით, ან სიკვდილით“. ცხადია, ეს ფრაზა ილია ჭავჭავაძის საზოგადო მოღვაწეობასაც ეხებოდა.

ამავე წელს, ილია ჭავჭავაძის სახელზე გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა წერილი „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი.“ რომელშიც ივერიის რაობის გამორკვევა ილია ჭავჭავაძის იდენტობის აღწერით დაიწყო. ეს წერილი ერთგვარად გარდამტეხია ამ პოლემიკაში. შინაარსობრივად და ენობრივად ის განსხვავდება წინამორბედი პუბლიკაციებისგან, რაც პირველ რიგში, ეხება ავტორის გზავნილებს. წერეთელმა ექვექვემ დააყენა ილიას მორა-

⁴⁵წერეთელი, გ. „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს.“ *კვალი N17*, 1897: 33.

⁴⁶ჟორდანია, ნ. „ადგილობრივი პრესსა წარსულ წელს.“ *კვალი N3*, 1899: 34-35.

ლური ღირსება, ზრახვები და ქმედებები არა მხოლოდ თანამედროვე პერსპექტივაში, არამედ წარსულ დროშიც. ამ თეზისის მიხედვით, ილიას ღვაწლი 1860-იანელთა თაობაშიც იკარგებოდა და მასთან ერთად, უფასურდებოდა თავად ილიას ფიგურაც, როგორც ქართველი ერის მეთაურის. წერეთელი თვლიდა, რომ ილიამ ერის მეთაურისა და მედროშის სახელი სრულიად შემთხვევით დაიმკვიდრა, რაც დროითი კონტექსტიდან გამომდინარეობდა *„ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში დაჰბერა ლიბერალურმა ქარმა ბატონყმობის გათავისუფლებისამ და ვინც უფრო მაგარ ლიბერალურ ფრაზას წამოისვრიდა, ან და ძალიან ლიბერალურ კილოზე ლექსს დაწერდა, ის იყო მედროშე [...] მისი შეხედულებით, „ასეთმა ბედნიერმა გარემოებამ“ „გაალაღა“ ილია ჭავჭავაძე და გაუღვიძა მას „მადა განდიდებისა“, შეათვისებინა „აზროვნებაში შეუმცდარობის ფიქრი, მოკამათეთა უწყალო დევნა, ნამეტურ მას აქეთ, რაც იგი შეიქნა საადგილმამულო ბანკში მილიონების მატრიალებელი.“ [...] ავტორის აზრით, ილიას ხასიათი ეტყობოდა გაზეთ ივერიას, რომელიც თავის თავს „შეუმცდარ რომის პაპათ,“ აღიარებდა და ამით აიხსნებოდა „განებივრებული კილო პოლემიკისა.“⁴⁷*

1900 წლიდან გამლღიერდა კრიტიკის ტონი სოციალ-დემოკრატთა რიტორიკაში. გამოიკვეთა ისიც, რომ ამ მოძრაობის წევრები ილიას ერის მეთაურად განვლილ დროებაშიც აღარ აღიქვამდნენ. ნოე ჟორდანიას სტატიების ციკლის „პრესა“ მესამე წერილი გაზეთ ივერიას და მის რედაქტორს დაეთმო. ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძეს ჟურნალისტური, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობა დაუწუნა. მისი შეფასებით, ილიას მოწოდება არცერთ ამ სარბიელზე არ ყოფილა ბრძოლა. ნაცვლად აქტიური მოქმედებისა, იგი „გულხელდაკრეფილი“ უცქერდა „თავის ტოლ-ამხანაგთა“ წინააღმდეგობას ძველი სისტემებისადმი და პასიური პოზიცია ეჭირა. ამას გარდა, მას მიაწერა მედროვეობა და სილაჩრე, რაც კარგად ჩანდა

⁴⁷ წერეთელი, გ. „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი.“ კვალი N5, 1899: 75.

შემდეგ ციტატაში: „ავტორი ყოველთვის უცდიდა დროს და როცა ის უიმისოთაც შეიცვლებოდა, მაშინ გაილაშქრებდა დაძველებული და უკვე ცხოვრებიდან გამოსულ წყობილების წინააღმდეგ. ამას ეწოდება ბრძოლა ბრძოლის შემდეგ! ასეთი იყო და ასეთია დღესაც ტაქტიკა თ. ილია ჭავჭავაძისა“.⁴⁸ ამის შემდგომ მან ისაუბრა ილიას ინტერესებზე თავად-აზნაურთა ბანკში. იგი ანგარებასა და ფლიდობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ გაზეთი ივერია ერთადერთი მიზნით იყო დაარსებული, მას „უნდა დაეცვა ბანკი და ბანკირები მოწინააღმდეგეთაგან“; ჟორდანიას აზრით, ილიას არ სურდა თავადაზნაურობის გადამტერება და მათგან შემოსავლის დაკარგვა; რის გამოც, მან „ქართული ერთათ ერთი ორგანო მან გახადა მხოლოდ თავისი პირადი აზრების ორგანოთ“ და „სოფლური ქადაგები“ ერის მიძინებას იწვევდა.⁴⁹

ჟორდანიას კრიტიკულ წერილებს 1900 წელს ილიაც გამოეხმაურა. წერილში „უმეცრობის ფართი ფურთი“⁵⁰ მან უარყო კვალში გაჟღერებული ბრალდებები სათავადაზნაურო ბანკის რაობის და „ივერიის“ რედაქციის ანგარებიანი მიდგომის მიმართ და აღნიშნა: „სრულად ნიჭ-მოკლებული, ესე უმეცრობის გაბედულებით გათამამებული და გაკადნიერებული, როგორც ბ-ნი ჟორდანიას, ჯერ არ გვინახავს. თავზე ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკით და ნაღარით იქადის, რაც ვარ, მე ვარო. დეე იძახოს, ამით არავის არც რამ დააკლდება, არც მოემატება და ჩვენც ამაზე არ გამოვეკიდებით თავმოწონებულს პუბლიცისტსა, მით უფრო, რომ რუსულ ანდაზისა არ იყოს - დეე ბალებმა იცელქონ, თავი შეიქციონ, ოღონდ კი ნუ იტირებენ.“ ამავე საკითხებზე დაფუძნებული პოლიემიკა გაზეთმა „ივერიამ“ მომდევნო წერილებშიც განავრცო, საიდანაც ნათლად

⁴⁸ ჟორდანია, ნ. „პრესა III – „ივერია.“ კვალი N9, 1900:134.

⁴⁹ ჟორდანია, ნ. „პრესა III – „ივერია.“ კვალი N9, 1900: 137; ჟორდანია, ნ. პრესა - „ივერია“, კვალი N11, 1900: 165-167; პრესა - „ივერია“, კვალი N21, 1900: 325; ჟორდანია, ნ. პრესა - „ივერია“, კვალი N25:393.

⁵⁰ახალმოსული. „უმეცრობის ფართი ფურთი.“ ივერია N60, 1900: 1-2.

ჩანდა, რომ ილია ნოე ჟორდანias გამოუცდებლობას და ვიწრო თვალთახედვას უწუნებდა, რომელიც მისი ხედვით, მარქსისტული თეორიით იყო შემოზღუდული.⁵¹

იდეოლოგიური დაპირისპირება მომდევნო წლებში კიდევ უფრო გამწვავდა. მასში ქართველი ექიმი, მწერალი და პუბლიცისტი ივანე გომართელიც ჩაერთო. ილიას კრიტიკისას, ავტორის ტონი სხვა პუბლიცისტებისგან განსხვავებით უფრო ზომიერი იყო. გომართელმა პირველ წერილში პოზიტიურად შეაფასა ილია ჭავჭავაძის ადრინდელი სამწერლობო და საზოგადოებრივი საქმიანობა, გლეხის ფიგურის შემოყვანა და დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში, მარტივი სალიტერატურო ენის შექმნა. თუმცა, ამასთანავე მიანიშნა, რომ ილიას მიღწევები დროითი კონტექსტით იყო განპირობებული და არა ინდივიდუალური ძალისხმევით.⁵²

წერილში „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია“ გომართელი კვლავ შეეხო ილია ჭავჭავაძის ფიგურას. მან ერთმანეთთან შეაპირისპირა ერთი მხრივ ახალგაზრდა, მოუსვენარი, ჯერ კიდევ დაუდუღებელი ილია, რომელსაც „ქონდა ბუნებისაგან მონიჭებული ძლიერი ნიჭი პოეტისა, სასტიკი ხმა მხილებისა და ზრახვისა, სპეტაკი აზრები და შეხედულება, ჭეშმარიტი მისწრაფება და სიმპატიური სურვილები“ და რომელიც „მხოლოდ თავის ოთახში იბრძოდა“, „კარგათ ფიქრობდა და ცუდათ მოქმედებდა“, ხელს არ უწყობდა საზოგადოების გამოღვიძებას, მაშინ როდესაც ეს ყველაზე უკეთ მას შეეძლო. მის საპირისპიროდ კი დახატა ილიას ტრანსფორმირებული ვერისა, რომელმაც „კარგი ფიქრი გააცუდა, ცუდი მოქმედება კი უფრო გააცუდა.“ „უარყო ძველი შეხედულებები „სული და გული წარსულს მიაპყრო და, თუმცა შვა თავისი საკუთარი მყობადი, მაგრამ ეს მყობადი ის არ გამოდგა, რაც მოსალოდნელი იყო.“ ამავე წერილის გაგრძელებაში, გომართელმა აქცენტი ილიას

⁵¹ ახალმოსული. „პატარა საუბარი.“ ივერია N65, 1900:3.

⁵² გომართელი, ი. ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში, კვალი N18, 1901: 492.

მიერ აღწერილ გლეხის ფიგურაზე გააკეთა, რომელიც მისი შეხედულებით „ავტორის იდეალში განვლილი და გადასხვაფერებული“, მისი „ფანტაზიის შვილი“ უფრო იყო, ვიდრე რეალობის ნაყოფი. იგი თვლიდა, რომ ილიამ გლეხის შეცნობა ვერ შეძლო, რადგან „ის ზევიდან დაჩერებოდა ქვევით მყოფ გლეხს, იბრალებდა მას, შენატროდა მასი ცხოვრების გაუმჯობესებას, მისი ტვირთის შემსუბუქებას, ხოლო სიყვარული, წარმტაცი, წრფელი სიყვარული გლეხისადმი პოეტის გულს არც ერთხელი არ უგრძენია.“⁵³ გომართელის ტექსტების შემდეგ, გაზეთ „კვალში“ აღარ ჩანდა წერილები სადაც ილია ჭავჭავაძე დისკუსიის მთავარ საგანს წარმოადგენდა. თუმცა, პოლემიკა სოციალ-დემოკატებსა და ილიას შორის მომდევნო პერიოდებში კიდევ უფრო გამწვავდა და ამ დაპირისპირების ფონზე, ილიას ფიგურამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის აღქმაში, რომლებიც სოციალ-დეოკრატიულ მოძღვრებას იზიარებდნენ.

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა ილია ჭავჭავაძის სახე ხატის ფორმირების ჩვენებას ქართველ სოციალ-დემოკრატთა წარმოსახვაში, რისთვისაც შესწავლილ იქნა ამ მოძრაობასთან ასოცირებული გაზეთი „კვალი“ მისი გამოცემის პერიოდში - 1893-1904 წლებში. კვლევისას ყურადღება გამახვილდა ავტორთა მიერ გამოყენებულ ენაზე, მოტივებზე და გზავნილებზე, რომელთა მიხედვითაც შეფასდა ილიას იერსახე და მისი ტრანსფორმაცია იდეოლოგიური დაპირისპირების კონტექსტში.

კვლევამ აჩვენა, რომ 1893-1897 წლებში, გაზეთი „კვალი“ მეტად ზომიერ ენას იყენებდა ჭავჭავაძის ფიგურასთან მიმართებით და ცდილობდა მისი ავტორიტეტის მსხვერველს. ამ პერიოდის პუბლიცისტურ წერილებში არსებობდა დუალისტური მიდგომა: ერთი

⁵³ გომართელი, ი. „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია (გაგრძელება).“ კვალი N36, 1902: 586.

მხრივ, ილია წარმოადგენდა წარსული დროის ერის მეთაურს, რომელმაც აქტუალური საკითხები წამოჭრა 1860-იან წლებში და სათავე დაუდო ეროვნულ მოძრაობას საქართველოში. მეორე მხრივ, კი მეთაურის სტატუსი ეჭვქვეშ იყო დაყენებული თანამედროვე პერიოდში და ექვემდებარებოდა გადასინჯვას. ავტორთა მთავარი მოტივი ამ პერიოდში ილიას წარსულის სიმბოლოდ დაფიქსირება იყო, რითაც რელიგანტურობას დაკარგავდა თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა აწმყოში და სოციალ დემოკრატებს მიეცემოდათ მეტი სივრცე საკუთარი იდეების წინ წამოწევისთვის.

თუმცა, 1899 წლიდან გაზეთის მიდგომა შეიცვალა. ინტელექტუალების სამსჯელო ენა მეტად კრიტიკული გახდა. ეს განპირობებული იყო იდეოლოგიური დაპირისპირების გამწვავებით. ილიას მიეწერებოდა უარყოფითი მახასიათებლები როგორც წარსულ დროში, ისე აწმყოში. ამ პერიოდის გზავნილები მიმართული იყო სრულიად ახალი სახე-ხატის ფორმირებაზე, რომელიც არც წარსულის სიმბოლო იყო და არც მომავლის. დუალისტური ხატის გამთლიანება და ილიას ნეგატიური იერსახით წარმოსახვა სტრატეგიული სვლა იყო სოციალ-დემოკრატებისთვის. მათ უნდა დაეკანონებინათ საკუთარი მოძრაობა დასთა პოლემიკაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გამარჯვებულად და სოციალ-დემოკრატიული პროგრამისთვის პრაქტიკაში გატარებისთვის მყარი და უკონკურენტო ნიადაგი მიეცათ.

ბიბლიოგრაფია

- ახალმოსული. „უმცროსის ფართი ფურთი.“ *ივერია N60*, 1900.
- ახალმოსული. „პატარა საუბარი.“ *ივერია N65*, 1900.
- გომართელი, ი. ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში, *კვალი N18*, 1901.
- გომართელი, ი. „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია (გაგრძელება).“ *კვალი N35*, 1902.
- გომართელი, ი. „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია (გაგრძელება).“ *კვალი N36*, 1902: 586
- გურული, ვ. *ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი : 1869-1953* (ინტელექტი: თბილისი, 1999).
- ილ. პონტელი. „ფელეტონი - „ვისი ბრალა.“ *ივერია N105*, 1894.
- ლალი. „ფელეტონი - ჟურნალი კვალი ისევ თავის მიმართულებას კვლევა მიეზი.“ *ივერია N19*, 1895.
- ლალი. „მეთაური წერილი - 16 თებერვალი , ტფილისი.“ *ივერია N 34*, 1895.
- მაზაკვალი. ბიბლიოგრაფიული გარჩევა: „მოსე მწერალი“ ე. ნინოშვილისა, „უცნაური ამბავი“ ილ. ჭავჭავაძისა, „ჩვენი შინაური ამბები“ ნ. ნიკოლაძისა. *კვალი N6*, 1894.
- ნადიკვარელი. „წერილი კახეთიდან.“ *ივერია N219*, 1893.
- პავლიძე, პ. „ვისი ბრალა“-ს ავტორს °) მკითხველის შთაბეჭდილება.“ *კვალი N23*, 1894
- ჟორდანია, ნ. *მესამე დასი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. 100 წელი საიუბილეო კრებული* (ჩვენი დროშა: პარიზი, 1993).
- ჟორდანია, ნ. გაზ. „ივერია“ და ეროვნება. *კვალი N11*, 1895.
- ჟორდანია, ნ. გაზ. „ივერია“ და ეროვნება. *კვალი N12*, 1895.
- ჟორდანია, ნ. „მოამბე, ივერია და ეროვნობა“. *კვალი N29*, 1895.
- ჟორდანია, ნ. „მოამბე, ივერია და ეროვნობა“. *კვალი N34*, 1895.
- ჟორდანია, ნ. „ადგილობრივი პრესა წარსულ წელს.“ *კვალი N3*, 1899.
- ჟორდანია, ნ. გაზ. „ივერია“. *კვალი N9*, 1900.
- ჟორდანია, ნ. „პრესა III – „ივერია.“ *კვალი N9*, 1900.
- ჟორდანია, ნ. პრესა - „ივერია.“ *კვალი N11*, 1900.

- ჟორდანია, ნ.პრესა - „ივერია.“ კვალი N21, 1900.
- ჟორდანია, ნ. პრესა - „ივერია.“ კვალი N25, 1900.
- ჟორდანია, ნ. *ჩემი წარსული: მოგონებები* (სარანგი: თბილისი, 1990).
- რატინი, ს. *ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა* (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: თბილისი, 2022).
- სილოვან. „თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსები (ტომი I, 1892 წ.) 1858“). კვალი N29, 1894.
- სილოვან. „მეფე დიმიტრი თავდადებული“ თავ. ილ. ჭავჭავაძის პოემა მკითხველის შენიშვნები.“ კვალი N18, 1894.
- „ტფილისი.“ *ივერია N15*, 1895.
- „ტფილისი 16 აპრილი“. *ივერია N72*, 1897.
- ყარიბი. „ივერია „მოამბე“ და მესამე დასი. II (ცოტა რამ „მოამბის“ კრიტიკოსს, ბ. ნ ნალს).“ კვალი N48, 1894.
- ყარიბი. „ივერია „მოამბე“ და მესამე დასი. I. კვალი N47, 1894.
- ჯანელიძე, ო. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია (უნივერსალი: თბილისი, 2009).
- ჯიბლაძე, ს. „კვალი და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) წერილი პირველი.“ კვალი N8, 1895.
- ჯიბლაძე, ს. „კვალი და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) წერილი პირველი.“ კვალი N13, 1895.
- ჯიბლაძე, ს. „კვალი და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია) წერილი პირველი.“ კვალი N14, 1895.
- ჯოლოგუა, თ. *ილია ჭავჭავაძე - 180 ამბავი* (არტანუჯი, თბილისი, 2017).
- შველიძე, დ. *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ნაკვეთი I. ფედერალისტები* (არსი: თბილისი, 1993).
- წერეთელი-თუმანიშვილი, ა. “სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატე ინგოროყვას (ნიწიშვილის) გარდაცვალების გამო (სიტყვა თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ) მესამე დასის პროგრამა.” კვალი N22, 1894.
- წერეთელი, გიორგი. „კვალის ორი წლის ნაღვაწი.“ კვალი N5, 1895.
- წერეთელი, გ. „მოგზაურობა კახეთში თავ. ი. ჭავჭავაძისა.“ კვალი N26, 1893.
- წერეთელი, გ. „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს.“ კვალი N17, 1897.

- წერეთელი, გ. „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი.“ *კვალი* N5, 1899.
- ხოფერია, ნ. „ევროპული და აზიური ორიენტაციის შესახებ საქართველოში.“ კრებულში ევროპა თუ აზია (ლიტერატურის მატთანე: თბილისი, 1997).
- Chkhaidze, I., and K. Kakitelashvili. “A National Figure as a Memory Site: Reinterpretations of Ilia Chavchavadze in the 1910s–1940s.” *Caucasus Survey* 9, no. 3 (2021): 220-234.
- Jones, S. F. *Socialism in Georgian Colors*. The European Road to Social Democracy 1883-1917. Harvard University Press: Cambridge, 2005).
- Suny, R. G. *The making of the Georgian Nation* (Second edition) (Indiana University Press: Bloomington and Indianapolis, 1994).
- Vogt, S. “Strange Encounters: Social Democracy and Radical Nationalism in Weimar Germany.” *Journal of Contemporary History* 45, no. 2 (2010): 253-281.

Ketevan Epadze

Constructing the Image of Ilia Chavchavadze in Kvali, a Georgian Social Democratic Periodical

Abstract

This paper examines the construction and evolution of Ilia Chavchavadze's image in the Georgian Social Democratic periodical "Kvali", between 1893 and 1904. The analysis demonstrates that Chavchavadze's portrayal underwent significant transformation in response to the intensifying ideological confrontation between him and the leaders of the Social Democratic movement. During the period from 1893 to 1897, Chavchavadze was depicted as a figure of the past whose creative potential was considered exhausted and whose status as a national leader was increasingly questioned. From 1899 onward, however, the newspaper's discourse became more critical, resulting in the consolidation of a dualistic representation and the systematic removal of those attributes that had previously legitimized Chavchavadze's position as a national leader, both in the present and retrospectively.

Keywords: Ilia Chavchavadze; Social Democracy; "Kvali" newspaper.